საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3864
26/07/2022

3864-21-2-202207261751

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №150
ელ. ფოსტა: info@mkr.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2772 სკრინინგის განცხადება, რომლებიც ეხება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ახალქალაქი-კარწახის კორექტირებული მონაკვეთის (სადგურ კარწახიდან გვირაბამდე და გვირაბი თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სადგურ კარწახის მიმდებარედ, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საკვლევ უბანზე ფერდის მეწყრული მასის მექანიკურ შემაკავებლად პროექტში განხილულია საყრდენი კედლის კონსტრუქციის ორი ვარიანტი. ვარიანტი I – საყრდენი კედელი ბეტონის ანაკრები ბლოკებისაგან; ვარიანტი II – საყრდენი კედელი გაბიონის ყუთებისაგან“. დაზუსტებას საჭიროებს მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში მოსაწყობი ობიექტის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული ტექნიკისა (რაოდენობებისა და ტიპების მითითებით) და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისა და განთავსების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყლის გამოყენების, ასევე, ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაციას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის/გრუნტის მოცულობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია, ასევე, მათზე მოსალოდნელი ზემოქმედება (ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების ჩამონათვალი, სახეობებისა და რაოდენობების მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო